საქართველოს უნივერსიტეტი
ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლა
სადოქტორო პროგრამა: საზოგადოებრივი ჯანდაცვა

ხელნაწერის უფლება

დეა გოდერძიშვილი

პანდემიებისადმი მზადყოფნისა და რეაგირების შეფასება და გაძლიერება ბიოსამედიცინო და ჯანდაცვით მეცნიერებებში დიპლომამდელი განათლების ეტაპზე

საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი ნაშრომის

სადისერტაციო მაცნე
(სპეციალობა- 0904 - საზოგადოებრივი ჯანდაცვა)

თბილისი
2026

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია საქართველოს უნივერსიტეტის ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლაში.

სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობა:

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფ. ელზა ნიკოლეიშვილი, MD, PhD

საბჭოს თავმჯდომარე: პროფ. ლელა შენგელია, MD, MPH, PhD

შიდა ექსპერტი: პროფ. ამირან გამყრელიძე, MD, PhD

მოწვეული ექსპერტი - ილია ნადარეიშვილი, MD, PhD
მოწვეული ექსპერტი - ლევან ბარამიძე, MD, MPH, PhD
მოწვეული ექსპერტი - ნათია კვარაცხელია, MD, MPH, PhD

დისერტაციის დაცვა შედგება 2026 წლის 4 ნოემბერს, 16:00-ზე.

მისამართი: თბილისი, კოსტავას 77ა, #519 აუდიტორია
დისერტაციის გაცნობა შეიძლება საქართველოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასა და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: www.ug.edu.ge

სადისერტაციო მაცნე დაიგზავნა 2026 წლის 14 ოქტომბერს;

სადისერტაციო საბჭოს მდივანი: სადოქტორო საფეხურის მენეჯერი, ნათია მანჯიკაშვილი.

თემის აქტუალობა

COVID-19-ის პანდემია XXI საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ საზოგადოებრივი ჯანდაცვის კრიზისად იქცა. 2026 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, მსოფლიოში დაფიქსირებული იყო დაახლოებით 780 მილიონი შემთხვევა და 7.1 მილიონზე მეტი გარდაცვალება, ხოლო საქართველოში დაახლოებით 1.8 მილიონი შემთხვევა და 17,000-ზე მეტი გარდაცვალება. პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ჯანდაცვის, ეკონომიკურ, სოციალურ და საგანმანათლებლო სისტემებზე. მან ნათლად წარმოაჩინა როგორც ეროვნული, ისე გლობალური ჯანდაცვის სისტემების მოწყვლადობა. ამ გამოცდილებამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შესძინა პანდემიებისადმი მზადყოფნისა და რეაგირების საზოგადოებრივი ჯანდაცვის ასპექტებს, მათ შორის ინფექციის კონტროლს, მოსახლეობის ინფორმირებას, ვაქცინაციასა და დეზინფორმაციის მართვას.

პანდემიამ ასევე ნათლად წარმოაჩინა სათანადოდ მომზადებული ჯანდაცვის სამუშაო ძალის მნიშვნელობა და ამ პროცესში დიპლომამდელი განათლების განსაკუთრებული როლი. სწორედ უმაღლესი განათლების ფარგლებში უნდა ჩამოყალიბდეს მომავალი ჯანდაცვის სპეციალისტების ის ცოდნა და პრაქტიკული კომპეტენციები, რომლებიც შეესაბამება საზოგადოებრივი ჯანდაცვის გლობალურ გამოწვევებსა და რეალურ საჭიროებებს. შესაბამისად, უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემას მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა აკისრია, უზრუნველყოს ჯანდაცვის სექტორის მომავალი სპეციალისტების საკვალიფიკაციო პროფილისა და პრაქტიკული კომპეტენციების სტრატეგიული შესაბამისობა თანამედროვე პროფესიულ და საზოგადოებრივ მოთხოვნებთან.

COVID-19-ის პერიოდში მრავალ ქვეყანაში ბიოსამედიცინო და ჯანდაცვითი მეცნიერებების სტუდენტები აქტიურად ჩაერთნენ კლინიკურ და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ღონისძიებებში. საქართველოში პანდემიის საპასუხოდ სპეციალური გადამზადება

2000-მდე სტუდენტმა გაიარა. მათგან დაახლოებით ნახევარი, სწავლის დასრულებამდე, ჯანდაცვის სისტემაში დამატებითი სამუშაო ძალის სახით ჩაერთო. ამასთან, „MED-იატორების“ ქსელში 500-მდე სტუდენტი მონაწილეობდა საკომუნიკაციო და საგანმანათლებლო საქმიანობაში. ამ გამოცდილებამ სტუდენტთა არსებული პოტენციალი წარმოაჩინა. ამავდროულად, გამოიკვეთა შესაბამისი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების კრიზისამდე, დიპლომამდელი განათლების ფარგლებში განვითარების საჭიროება. შესაბამისად, აქტუალურ საკვლევ ამოცანას წარმოადგენდა იმის შეფასება, თუ რამდენად უზრუნველყოფს საქართველოში მოქმედი ბიოსამედიცინო და ჯანდაცვითი მიმართულების დიპლომამდელი საგანმანათლებლო პროგრამები სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების პანდემიებისადმი მზადყოფნისა და რეაგირებისთვის საჭირო თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული კომპეტენციების ფორმირებას.

კვლევის ძირითადი მიზანი და ამოცანები

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში მოქმედი უნივერსიტეტების ბიოსამედიცინო და ჯანდაცვითი მეცნიერებების მიმართულებების (მედიცინა, სტომატოლოგია, ფარმაცია, საექთნო საქმე და საზოგადოებრივი ჯანდაცვა) დიპლომამდელი სასწავლო პროგრამების თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების შეფასება პანდემიებისადმი მზადყოფნისა და რეაგირებისათვის სტუდენტების მომზადების კუთხით, COVID-19-ის პერიოდში პრევენციულ, საკომუნიკაციო და სამკურნალო ღონისძიებებში მათი მონაწილეობის მაგალითზე. კვლევის ამოცანებს წარმოადგენდა:

1. საქართველოში მოქმედ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (უსდ) 2023-2024 სასწავლო წლებში ბიოსამედიცინო და ჯანდაცვითი მეცნიერებების (მედიცინა, სტომატოლოგია, ფარმაცია, საექთნო საქმე, საზოგადოებრივი ჯანდაცვა) საგანმანათლებლო პროგრამების ბოლო კურსის სტუდენტების და 2015-2024 სასწავლო წლებში ამავე პროგრამების

კურსდამთავრებულთა გამოკითხვების ჩატარება და შედეგების გაანალიზება.

2. COVID-19 პერსპექტივიდან საქართველოში მოქმედ უსდ-ებში ბიოსამედიცინო და ჯანდაცვითი მეცნიერებების სასწავლო პროგრამების (კურიკულუმების) შერჩევა, გაანალიზება და შეფასება, აღნიშნული პროგრამების ფარგლებში პანდემიებისადმი მზადყოფნისა და რეაგირებისათვის აუცილებელი კომპეტენციების შეძენის შესაძლებლობების კუთხით.
3. ნახევრად-სტრუქტურირებული ინტერვიუების ჩატარება უსდ პედაგოგებთან და სასწავლო პროგრამების (კურიკულუმების) ხელმძღვანელებთან როგორც საქართველოში, ისე ევროპის შერჩეულ ქვეყნებში.
4. ეროვნული და საერთაშორისო საზოგადოებრივი ჯანდაცვის ექსპერტებთან ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუების ჩატარება, პანდემიებისადმი მზადყოფნისა და რეაგირების კონტექსტში ბიოსამედიცინო და ჯანდაცვის დიპლომამდელი განათლების სრულყოფის პრიორიტეტული მიმართულებების იდენტიფიცირების მიზნით.
5. გამოკითხვებისა და ინტერვიუების მონაცემთა ანალიზის საფუძველზე, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (უსდ) პედაგოგების, კურიკულუმის ხელმძღვანელებისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ექსპერტების პოზიციების შესწავლა; თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და პოტენციური გადაჭრის გზების შემუშავება სამომავლო პანდემიებისადმი მზადყოფნისა და ეფექტიანი რეაგირების უზრუნველსაყოფად.
6. საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულებით ბიოსამედიცინო და ჯანდაცვითი მეცნიერებების დიპლომამდელი საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი ასპექტების გაუმჯობესების გზების დასახვა და რეკომენდაციების შემუშავება სამომავლო

პანდემიებისადმი მზადყოფნისა და ეფექტიანი რეაგირების უზრუნველსაყოფად.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე და პრაქტიკული ღირებულება

წარმოდგენილმა სადოქტორო კვლევამ შეავსო პანდემიებისადმი მზადყოფნისა და რეაგირების მიმართულებით არსებული ცოდნის ხარვეზი. კვლევამ პირველად უზრუნველყო ბიოსამედიცინო და ჯანდაცვითი მეცნიერებების (მედიცინა, სტომატოლოგია, ფარმაცია, საექთნო საქმე, საზოგადოებრივი ჯანდაცვა) დიპლომამდელი განათლების კომპლექსური შეფასება სხვადასხვა დაინტერესებული მხარის — სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პედაგოგების, სასწავლო პროგრამების ხელმძღვანელებისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ექსპერტების — მრავალმხრივი გამოცდილებისა და შეფასებების ინტეგრირების საფუძველზე.

კვლევაში პანდემიებისადმი მზადყოფნა და რეაგირება განხილულ იქნა როგორც მრავალგანზომილებიანი პროცესი, რომელიც დაკავშირებულია განათლებასთან, ჯანდაცვის სამუშაო ძალის განვითარებასა და ჯანდაცვის სისტემების მდგრადობასთან. მიღებული შედეგები და შემუშავებული რეკომენდაციები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბიოსამედიცინო და ჯანდაცვითი მეცნიერებების სასწავლო პროგრამების განვითარებისა და პანდემიებისადმი მზადყოფნისა და რეაგირების გაძლიერების მიზნით, როგორც საქართველოში, ისე საერთაშორისო დონეზე.

ამასთან, საქართველოში აღნიშნულ თემაზე მსგავსი მასშტაბისა და შერეული მეთოდების კვლევა ამ დრომდე არ განხორციელებულა. კვლევის შედეგები იძლევა რამდენიმე პრაქტიკული მიმართულების იდენტიფიცირების საშუალებას, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, ისე ჯანდაცვისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემების მიერ.

აღნიშნულ მიგნებებზე დაყრდნობით, მიზანშეწონილია შემდეგი ინიციატივების განხილვა და განვითარება:

1. აკადემიურ დონეზე: მედიცინის, სტომატოლოგიის, ფარმაციის, საექთნო საქმისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის დიპლომამდელი კურიკულუმების განვითარების მიმართულებით;
2. სისტემურ დონეზე: ჯანდაცვის სამუშაო ძალისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემების მზადყოფნის გაძლიერების მიმართულებით.

კვლევის შედეგად გამოვლინდა:

1. არსებულ კურიკულუმებში კომპეტენციების ნაკლებობა: გამოიკვეთა დიპლომამდელ სასწავლო პროგრამებში პანდემიებისადმი მზადყოფნისა და რეაგირების საკვანძო კომპეტენციების უფრო მკაფიო და სისტემური ინტეგრირების აუცილებლობა.
2. სპეციალიზებული სასწავლო მოდულების დეფიციტი: დიპლომამდელ საფეხურზე პანდემიებისადმი მზადყოფნასა და რეაგირებაზე ორიენტირებული არჩევითი კურსებისა და თემატური მოდულების ნაკლებობა/ინტეგრირების დაბალი ხარისხი.
3. სიმულაციური სწავლების შეზღუდული პრაქტიკა: საგანგებო სიტუაციების მოდელირებული სავარჯიშოებისა და სიმულაციაზე დაფუძნებული სწავლების რეგულარული დანერგვის ნაკლებობა სასწავლო პროცესში.
4. ინტერდისციპლინური თანამშრომლობის სუსტი დონე: დადგინდა ჯანდაცვის სხვადასხვა დისციპლინას შორის ინტერდისციპლინური სწავლების, კომუნიკაციისა და პროფესიული თანამშრომლობის გაფართოების საჭიროება.
5. კურიკულუმგარე შესაძლებლობების სიმწირე: გამოიკვეთა პანდემიებისადმი მზადყოფნასა და რეაგირებაზე ორიენტირებული არაფორმალური ინიციატივების,

საზაფხულო სკოლებისა და ვორქშოფების განვითარების დაბალი ინტენსივობა.

6. ინსტიტუციური პარტნიორობის ხარვეზები: უნივერსიტეტებს, სამედიცინო დაწესებულებებსა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის უწყებებს შორის არსებული თანამშრომლობის გაძლიერების/მრავალსექტორული კოორდინაციის საჭიროება.
7. სარეზერვო და მოხალისეობრივი სისტემების არარსებობა/სუსტი განვითარება: დადგინდა სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ბაზაზე ფორმირებული, კრიზისებზე რეაგირებაზე ორიენტირებული სარეზერვო ქსელებისა და მოხალისეობრივი პროგრამების ჩამოყალიბების აუცილებლობა.
8. სამეცნიერო-კვლევითი აქტივობის დაბალი მაჩვენებელი: გამოიკვეთა პანდემიებისადმი მზადყოფნისა და რეაგირების მიმართულებით კვლევითი საქმიანობის, ცოდნის გაცვლისა და აკადემიური თანამშრომლობის ხელშეწყობის ნაკლებობა.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა

დისერტაცია მოიცავს შესავალს და 4 თავს, დასკვნას, პრაქტიკულ რეკომენდაციებს, 9 დანართს. დისერტაცია დაწერილია 112 გვერდზე, APA-ს სტილის დაცვით, ნაშრომში მოყვანილია 23 ცხრილი და 20 დიაგრამა. გამოყენებულია 128 ლიტერატურული წყარო.

ნაშრომის აპრობაცია

ნაშრომის შედეგები განხილულ იქნა საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებსა და საუნივერსიტეტო კონგრესებზე:

ზეპირი მოხსენება: InTech4MED ადგილობრივი კონფერენცია, 28 სექტემბერი 2024, თბილისი, საქართველო;

ე-პოსტერი: საერთაშორისო კონფერენცია AMSE 2024 - The Association of Medical Schools in Europe 17-19 ოქტომბერი, 2024, სალონიკი, საბერძნეთი;

ზეპირი მოხსენება: MEDIC2024 საერთაშორისო კონფერენცია, 28 ნოემბერი 2024, თბილისი, საქართველო;

ე-პოსტერი: ORPHEUS 2025 - Organisation of PhD in Biomedicine and Health Sciences European System, 10-12 აპრილი, 2025, დუბროვნიკი, ხორვატია;

საჯარო ლექცია: „ინტერდისციპლინარული მიდგომები პანდემიური განათლებისთვის – ბიოსამედიცინო და ჯანდაცვითი მეცნიერებების კურიკულუმების როლი მომავალი პანდემიების რეაგირებაში";

საჯარო ლექცია: „პანდემიური მზადყოფნა ბიოსამედიცინო განათლებაში: რა გვასწავლა COVID-19-მა და როგორ მოვემზადოთ შემდეგი პანდემიისთვის".

კვლევის შედეგები გამოქვეყნებულ იქნა:

Goderdzishvili, D., & Nikoleishvili, E. (2026). Health workforce readiness for future pandemics: Evidence from undergraduate health sciences students in Georgia. *AIMS Public Health*, *13*(3), 831–848. https://doi.org/10.3934/publichealth.2026044

Goderdzishvili, D., & Nikoleishvili, E. (2026). Strengthening pandemic preparedness and response through undergraduate education in biomedical and health sciences: A mixed-methods study from Georgia. *Journal of Public Health Research*, *15*(3). https://doi.org/10.1177/22799036261467438

Goderdzishvili, D., & Nikoleishvili, E. (2025). Strengthening Pandemic Preparedness in Undergraduate Education through Curricular Reform: Post-COVID-19 Insights. European Scientific Journal, ESJ, 21(24), 1. https://doi.org/10.19044/esj.2025.v21n24p1

ნაშრომის ძირითადი ნაწილი

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები

სადოქტორო კვლევა განხორციელდა აღწერითი კვლევითი დიზაინით, შერეული მეთოდების მეთოდოლოგიური მიდგომის გამოყენებით. პანდემიებისადმი მზადყოფნისა და რეაგირების მრავალგანზომილებიანი ბუნებიდან გამომდინარე, კვლევაში გამოყენებულ იქნა ჯვარედინ-სექციური რაოდენობრივი და თვისობრივი მიდგომების ტრიანგულაცია. რაოდენობრივმა კომპონენტმა შესაძლებელი გახადა მონაწილეთა გამოცდილების, აღქმებისა და მზადყოფნის ხარისხობრივი მაჩვენებლების შეფასება, ხოლო თვისობრივმა კომპონენტმა ხელი შეუწყო სასწავლო პროგრამების, ინსტიტუციური გარემოსა და ექსპერტული ხედვების კომპლექსურ, სიღრმისეულ შესწავლას. ნაშრომში გაერთიანებულია ოთხი დამოუკიდებლად განხორციელებული კვლევა:

1. დიპლომამდელი მედიცინის, სტომატოლოგიის, ფარმაციის, საექთნო საქმისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამების ბოლო კურსის სტუდენტების რაოდენობრივი კვლევა, გამოყენებული იყო 37 ინდიკატორისგან შემდგარი კითხვარი;
2. ამავე პროგრამების კურსდამთავრებულთა რაოდენობრივი კვლევა, გამოყენებული იყო 34 ინდიკატორისგან შემდგარი კითხვარი;
3. უსდ პედაგოგებისა და კურიკულუმის ხელმძღვანელების თვისობრივი კვლევა, გამოყენებული იყო 4 და 6 ღია კითხვისგან შემდგარი ინტერვიუები;
4. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ექსპერტთა თვისობრივი კვლევა, გამოყენებული იყო 5 ღია კითხვისგან შემდგარი ინტერვიუ.

რაოდენობრივი და თვისობრივი შედეგები კონვერგენტული შერეული მეთოდების მიდგომით, ინტერპრეტაციის ეტაპზე გაერთიანდა, რამაც შესაძლებელი გახადა საერთო ტენდენციების,

განმეორებადი თემებისა და განსხვავებული პერსპექტივების ერთიან კვლევით ჩარჩოში შეფასება.

საკვლევი ჯგუფები

საკვლევ ჯგუფებს წარმოადგენდნენ: ბოლო კურსის სტუდენტები (n = 296), რომელთა უმეტესობა იყო 18–22 წლის (63.5%; n = 188); სქესის მიხედვით, უმეტესობა იყო ქალი (69.3%; n = 205), შემდეგ მამაკაცი (28.4%; n = 84), ხოლო ნაწილმა სქესი არ მიუთითა (2.4%; n = 7); 2015–2024 წლების კურსდამთავრებულები (n = 203), რომელთა ყველაზე დიდი ნაწილი იყო 27–31 წლის (49.3%; n = 100); უმეტესობა იყო ქალი (65.0%; n = 132), შემდეგ მამაკაცი (31.5%; n = 64), ხოლო ნაწილმა სქესი არ მიუთითა (3.4%; n = 7). პედაგოგები და კურიკულუმის ხელმძღვანელები (n = 30), რომელთა უმრავლესობას პედაგოგები წარმოადგენდნენ (n = 25), ხოლო ყველაზე დიდი პროფესიული ჯგუფი ბიოსამედიცინო მეცნიერებებს მიეკუთვნებოდა (37%; n = 11); და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ექსპერტები (n = 21), რომელთა უმრავლესობას საქართველოს წარმომადგენლები შეადგენდნენ (n = 11).

კვლევის ინსტრუმენტები და მონაცემების ანალიზი


რაოდენობრივი მონაცემების სტატისტიკური ანალიზი განხორციელდა IBM SPSS Statistics-ის 30.0 და 31.0 ვერსიების გამოყენებით. დემოგრაფიული მახასიათებლებისა და ძირითადი ცვლადების შეფასებისთვის გამოყენებულ იქნა აღწერითი სტატისტიკა, ხოლო ინფერენციული ანალიზისთვის დამოუკიდებელი შერჩევების t-ტესტი, ერთფაქტორიანი დისპერსიული ანალიზი (ANOVA), პირსონისა და სპირმანის კორელაციური ანალიზები, მრავლობითი წრფივი და ბინარული ლოგისტიკური რეგრესია. სტატისტიკური მნიშვნელობის დონედ განისაზღვრა $p < 0.05$. თვისობრივი მონაცემები გაანალიზდა ინდუქციური რეფლექსიური თემატური ანალიზის გამოყენებით. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ექსპერტთა მონაცემებისთვის გამოყენებულ იქნა ATLAS.ti 23.2.1, ხოლო უსდ პედაგოგებისა და კურიკულუმის ხელმძღვანელთა მონაცემებისთვის MAXQDA

24.5.1. ანალიზი მოიცავდა მონაცემთა კოდირებას, თემების იდენტიფიცირებასა და დახვეწას და შედეგების ინტერპრეტაციას.

კვლევის შედეგები

სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების პანდემიებისადმი მზადყოფნისა და რეაგირების ზოგადი შეფასება

სტუდენტებმა პანდემიებზე რეაგირებისთვის საკუთარი ზოგადი მზადყოფნა საშუალოდ 3.50 ქულით შეაფასეს (SD = 1.14; 95% CI [3.37; 3.63]); 57.4%-მა თავი მეტ-ნაკლებად ან სრულიად მზად შეაფასა. 20-კითხვიანი პანდემიებისადმი მზადყოფნისა და რეაგირების ინსტრუმენტის მიხედვით, შეფასებები M = 2.95–4.02-ის ფარგლებში მერყეობდა. ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო ჰიგიენური ზომების ცოდნამ (M = 4.02; SD = 1.20), ხოლო ყველაზე დაბალი სასწავლო პროგრამის ფარგლებში ტელემედიცინის მნიშვნელობის შესახებ მიღებულმა ცოდნამ (M = 2.95; SD = 1.47). შედარებით დაბალი შეფასებები დაფიქსირდა პრაქტიკული უნარებით მომზადების (M = 3.27; SD = 1.34) და სიმულაციური სწავლების მიერ სამკურნალო-პრევენციულ ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობის (M = 3.32; SD = 1.36) მიმართულებით.



დიაგრამა 1. *სტუდენტების მიერ ყველაზე მაღალი და ყველაზე დაბალი შეფასების მქონე ინდიკატორები (n = 296)*

კურსდამთავრებულებმა პანდემიებზე საპასუხოდ საკუთარი ზოგადი მზადყოფნა საშუალოდ 2.95 ქულით შეაფასეს (SD = 1.15; 95% CI [2.79; 3.11]). შეფასებების განაწილების მიხედვით, რესპონდენტთა 37.9% თავს მეტ-ნაკლებად ან სრულად მზადყოფნაში მიიჩნევდა, მაშინ როდესაც 35.0% საკუთარ თავს მეტ-ნაკლებად ან სრულად მოუმზადებლად აფასებდა, ხოლო 27.1% ნეიტრალურ პოზიციას აფიქსირებდა. 10-კითხვიანი ინსტრუმენტის მიხედვით, შეფასებები M = 2.72–3.16-ის ფარგლებში მერყეობდა. ყველაზე მაღალი შეფასება დაფიქსირდა საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულებით მიღებული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებაში (M = 3.16; SD = 1.30), ხოლო ყველაზე დაბალი შეფასება მიიღო სიმულაციური სწავლების როლმა სამკურნალო-პრევენციულ ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობაში (M = 2.72; SD = 1.32). შედარებით დაბალი იყო პანდემიების მართვისა და რეაგირებისათვის საჭირო პრაქტიკული უნარებით მომზადების შეფასებაც (M = 2.92; SD = 1.22).

ცხრილი 1. *კურსდამთავრებულების მიერ შეფასებული პანდემიებისადმი მზადყოფნისა და რეაგირების თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები (n = 203)*

ინდიკატორი	M	SD	95% CI [ქვედა; ზედა ზღვარი]
პანდემიების შესახებ ცოდნა	3.15	1.34	[2.97, 3.34]
თეორიული ცოდნა პრევენციული ზომების გასატარებლად	3.13	1.27	[2.96, 3.31]
საინფორმაციო-საკომუნიკაციო ზომების ცოდნა	3.03	1.31	[2.85, 3.22]
ცოდნის გამოყენება საზოგადოებრივი კეთილდღეობის გაუმჯობესებისთვის	3.16	1.30	[2.98, 3.34]
კლინიკური და სამედიცინო ზომების ცოდნა	2.92	1.35	[2.73, 3.10]
სიმულაციური სწავლების დახმარება სამკურნალო-პრევენციულ ღონისძიებებში მონაწილეობაში	2.72	1.32	[2.54, 2.91]
დიაგნოსტიკური ზომების ცოდნა	2.97	1.33	[2.78, 3.15]
გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ცოდნა	2.91	1.36	[2.72, 3.10]

მზაობა პრაქტიკული უნარ-ჩვევების კუთხით	2.92	1.22	[2.75, 3.09]
პრაქტიკული უნარ-ჩვევების თავდაჯერებული გამოყენება	3.07	1.25	[2.90, 3.24]

20- და 10-კითხვიანმა ინსტრუმენტებმა კრონბახის ალფას მიხედვით მაღალი შინაგანი შეთანხმებულობა აჩვენა, ხოლო ფაქტორულმა ანალიზმა სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებში ორი ფაქტორი გამოავლინა. ორივე ჯგუფში თეორიულ ცოდნასთან დაკავშირებულ კომპონენტებს უფრო მაღალი შეფასება მიენიჭა, ვიდრე კლინიკურ და პრაქტიკულ მზადყოფნასთან დაკავშირებულ კომპონენტებს. ამასთან, როგორც თეორიული ფაქტორი (B = 0.246; β = 0.213; 95% CI [0.101; 0.391]; p < .001), ისე პრაქტიკული ფაქტორი (B = 0.739; β = 0.634; 95% CI [0.593; 0.884]; p < .001) აღქმული მზადყოფნის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი დამოუკიდებელი პრედიქტორები იყო, თუმცა პრაქტიკულ ფაქტორს უფრო ძლიერი კავშირი ჰქონდა.

ცხრილი 2. *სტუდენტების მიერ შეფასებული პანდემიებისადმი მზადყოფნისა და რეაგირების ორი ფაქტორის აღწერითი სტატისტიკა (n = 296)*

ფაქტორი	M	SD	95% CI [ქვედა; ზედა ზღვარი]	კრონბახის ალფა (α)
ფაქტორი 1 - „თეორიული, პრევენციული, კომუნიკაციური და კლინიკური ცოდნა”	3.76	1.01	[3.64; 3.87]	.96
ფაქტორი 2 - „კლინიკური და პრაქტიკული მზადყოფნა“	3.42	1.08	[3.30; 3.54]	.93


ცხრილი 3. *კურსდამთავრებულების მიერ შეფასებული პანდემიებისადმი მზადყოფნისა და რეაგირების ორი ფაქტორის აღწერითი სტატისტიკა (n = 203)*

ფაქტორი	M	SD	95% CI [ქვედა; ზედა ზღვარი]	კრონბახის ალფა (α)

ფაქტორი 1 - „პანდემიების შესახებ ფუნდამენტური ცოდნა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის მზადყოფნა”	3.13	1.16	[2.96; 3.29]	.91
ფაქტორი 2 - „კლინიკური და პრაქტიკული მზადყოფნა პანდემიებზე რეაგირებისათვის”	2.93	1.12	[2.77; 3.08]	.93

პრაქტიკული მომზადების როლი პანდემიებისადმი მზადყოფნასა და კრიზისულ რეაგირებასთან


სტუდენტებში პანდემიებისადმი საპასუხოდ აღქმული მზადყოფნა სტატისტიკურად მნიშვნელოვან დადებით კავშირს ავლენდა ყველა შესწავლილ ინდიკატორთან, ბონფერონის კორექციის შემდეგაც (შესწორებული $\alpha = .0025$). ყველაზე ძლიერი



კორელაციები დაფიქსირდა პრაქტიკული უნარებით მომზადებასთან ($r = .739$; $p < .001$), ინფექციის კონტროლის ღონისძიებებში მონაწილეობის მზადყოფნასთან ($r = .734$; $p < .001$) და საგანგებო ზომების განხორციელების ხელშეწყობისთვის მომზადებასთან ($r = .733$; $p < .001$).

დიაგრამა 2. *სტუდენტთა პანდემიებისადმი მზადყოფნისა და რეაგირების კორელაცია (n = 296)*

კურსდამთავრებულებში პანდემიებზე საპასუხოდ აღქმულ მზადყოფნასთან ყველაზე ძლიერი დადებითი კავშირები გამოვლინდა პანდემიების შესახებ ცოდნის მიღებასთან ($r = .698$), პანდემიების მართვისათვის პრაქტიკულ მომზადებასთან ($r = .682$) და პრევენციული ღონისძიებებისათვის მიღებულ თეორიულ ცოდნასთან ($r = .681$) (ყველა $p < .001$). სხვა კომპონენტებთან კორელაციები შედარებით დაბალი იყო ($r = .503–.583$; ყველა $p < .001$).



დიაგრამა 3. *კურსდამთავრებულების მიერ შეფასებული პანდემიებისადმი მზადყოფნისა და რეაგირების კორელაცია (n = 203)*

კურიკულუმგარე მომზადების როლი COVID-19-ის მართვის კომპეტენციების ფორმირებაში

კურიკულუმგარე მოსამზადებელი ტრენინგი გავლილი ჰქონდა სტუდენტების 20.6%-ს. ტრენინგის გავლის მაჩვენებელი ასაკთან ერთად იზრდებოდა: 18–22 წლის სტუდენტებში 16.0%-დან 27 წელს გადაცილებულებში 46.7%-მდე. ასაკი ტრენინგის გავლის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი პრედიქტორი იყო: 18–22 წლის

სტუდენტებთან შედარებით, 23–27 წლის სტუდენტებში ტრენინგის გავლის შანსი 2.15-ჯერ, ხოლო 27 წელს გადაცილებულ სტუდენტებში — 4.30-ჯერ მაღალი იყო. პრაქტიკული ფაქტორის უფრო მაღალი მაჩვენებელი კურიკულუმგარე ტრენინგის გავლის 5.86-ჯერ უფრო მაღალ შანსთან იყო დაკავშირებული (OR = 5.86; 95% CI [2.63; 13.05]; p < .001), ხოლო თეორიული ფაქტორი, სქესი და სასწავლო პროგრამა მნიშვნელოვანი პრედიქტორები არ იყო. კურსდამთავრებულებში კურიკულუმგარე ტრენინგის მქონე რესპონდენტების აღქმული მზადყოფნა უფრო მაღალი იყო, ვიდრე ტრენინგის არმქონე კურსდამთავრებულებში (M = 3.47 vs. 2.78; t(201) = –3.85; p < .001). კურიკულუმგარე ტრენინგში მონაწილეობა მნიშვნელოვნად იყო დაკავშირებული სასწავლო პროგრამასთან ($\chi^2(3) = 9.68$; p = .021; Cramer's V = .218), ყველაზე მაღალი მაჩვენებლით მედიცინის პროგრამის კურსდამთავრებულებში.

COVID-19-ის საპასუხო ღონისძიებებში მონაწილეობის გამოცდილება და მისი მიმართება მზადყოფნის დონესთან

COVID-19-ის მართვის ღონისძიებებში მონაწილეობა აღნიშნა 79 სტუდენტმა (26.7%) და 77 კურსდამთავრებულმა (37.9%). სტუდენტებში მონაწილეობა უფრო ხშირი იყო უფროსი ასაკის მონაწილეებსა და მამაკაცებში (ასაკი: $\chi^2(2) = 11.67$; p = .003; Cramer's V = .20; სქესი: $\chi^2(2) = 13.06$; p = .001; Cramer's V = .21), ხოლო სასწავლო პროგრამის მიხედვით მნიშვნელოვანი განსხვავება არ გამოვლენილა. მონაწილე სტუდენტების აღქმული მზადყოფნა მნიშვნელოვნად აღემატებოდა არამონაწილეთა მაჩვენებელს (M = 3.95 vs. 3.34; t(294) = –4.18; p < .001). მონაწილე სტუდენტებმა 20-კითხვიანი ინსტრუმენტის ყველა ინდიკატორში უფრო მაღალი შეფასებები დააფიქსირეს, ხოლო მზადყოფნა ყველაზე ძლიერად უკავშირდებოდა საკუთარი ქმედებებით კმაყოფილებას (r = .500; p < .001). რეგრესიულ მოდელში საკუთარი ქმედებებით კმაყოფილება მზადყოფნის ერთადერთი მნიშვნელოვანი დამოუკიდებელი პრედიქტორი იყო (B = 0.410; β = .449; p = .001).

კურსდამთავრებულებში COVID-19-ის მართვის ღონისძიებებში მონაწილეობა სტატისტიკურად მნიშვნელოვნად იყო დაკავშირებული ასაკთან, ყველაზე მაღალი მაჩვენებლით 32 წლისა და უფროს ასაკობრივ ჯგუფში ($\chi^2(2) = 7.89$; $p = .019$; Cramer's $V = .197$), და დამთავრების წელთან, ყველაზე მაღალი მაჩვენებლით 2015–2020 წლების კურსდამთავრებულებში ($\chi^2(4) = 20.98$; $p < .001$; Cramer's $V = .321$). მონაწილე კურსდამთავრებულების აღქმული მზადყოფნა უფრო მაღალი იყო, ვიდრე არამონაწილეების ($M = 3.23$ vs. 2.78; $p = .006$; $d = 0.40$), ხოლო მათ შორის მზადყოფნა ყველაზე ძლიერად უკავშირდებოდა პრაქტიკული უნარებით მომზადებას ($r = .756$), თეორიულ ცოდნას ($r = .745$) და პანდემიების შესახებ ცოდნას ($r = .727$) (ყველა $p < .001$).

ცხრილი 4. *კურსდამთავრებულებში გამოვლენილი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ასოციაციები (n = 203)*

ინდიკატორი	ცვლადი	χ^2(df)	p	Cramer' s V
COVID-19 მართვის ღონისძიებებში მონაწილეობა	ასაკი (32+ წელი)	7.89 (2)	.019	.197
	დამთავრების წელი (2015-2020 წლები)	20.98 (4)	<.001	.321
კურიკულუმგარე COVID-19 მოსამზადებელი ტრენინგი	სასწავლო პროგრამა (მედიცინა)	9.68 (3)	.021	.218
მომავალ პანდემიებში მონაწილეობის მიღება	სქესი (ქალი)	6.72 (2)	.035	.182
	სასწავლო პროგრამა (მედიცინა)	14.18 (3)	.003	.264


ცხრილი 5. *COVID-19-ის მართვის ღონისძიებებში მონაწილე და არამონაწილე სტუდენტების მიერ პანდემიებისადმი მზადყოფნისა და რეაგირების თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების შეფასება*

ინდიკატორი	არამონაწილე (n = 217)		მონაწილე (n = 79)	
	M	SD	M	SD
პანდემიების შესახებ ცოდნა	3.65	1.13	3.89	1.22

ეპიდემიოლოგიური ცოდნა	3.82	1.03	4.22	0.96
ჯოგური იმუნიტეტის ცოდნა	3.65	1.19	4.10	1.20
პრევენციული ზომების ცოდნა	3.60	1.11	4.26	1.01
ვაქცინაციის ხელშეწყობის ცოდნა	3.50	1.26	4.03	1.17
უსაფრთხოების ზომების ცოდნა	3.83	1.21	4.10	1.27
ჰიგიენური ზომების ცოდნა	3.91	1.20	4.32	1.17
ინფექციის კონტროლის ცოდნა	3.59	1.24	4.10	1.22
საინფორმაციო-საკომუნიკაციო ღონისძიებების ცოდნა	3.58	1.25	3.91	1.25
საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების ცოდნა	3.54	1.25	4.00	1.24
საზოგადოების ჩართულობის ცოდნა	3.44	1.28	3.87	1.36
კლინიკური/სამედიცინო ზომების ცოდნა	3.65	1.17	3.97	1.20
დიაგნოსტიკური ზომების ცოდნა	3.53	1.23	3.82	1.27
გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ცოდნა	3.43	1.25	3.78	1.30
ცოდნა ტელემედიცინის მნიშვნელობის შესახებ	2.73	1.45	3.53	1.36
სიმულაციური სწავლების დახმარება სამკურნალო-პრევენციულ ღონისძიებებში მონაწილეობაში	3.22	1.33	3.60	1.40
მოხალისედ მონაწილეობის მზაობა	3.78	1.20	4.44	0.93
მზაობა პრაქტიკული უნარ-ჩვევების კუთხით	3.10	1.30	3.75	1.37
ინფექციის კონტროლის ღონისძიებებში მონაწილეობის მზადყოფნა	3.09	1.31	3.78	1.28
საგანგებო ზომების ეფექტიანად გატარების ხელშეწყობა	3.23	1.29	4.13	1.15

COVID-19-ის მართვის ღონისძიებებში მონაწილე კურსდამთავრებულები დადებითად აფასებდნენ უნივერსიტეტში შეძენილი პრაქტიკული უნარების მნიშვნელობას რეალურ პანდემიურ გარემოში. აღნიშნული უნარების მნიშვნელობა COVID-19-ის მართვის ღონისძიებებში მონაწილეობისათვის საშუალოდ 3.44 ქულით შეფასდა (SD = 1.33; 95% CI [3.14; 3.74]), მონაწილეობის ხარისხზე მათი გავლენა 3.38 ქულით (SD = 1.32;

95% CI [3.08; 3.68]), ხოლო COVID-19-ის ეფექტიანი მართვისათვის საჭირო უნარებთან შესაბამისობა 3.18 ქულით (SD = 1.21; 95% CI [2.91; 3.46]). მონაწილეთა მხოლოდ 22.1%-ს (n = 17) ჰქონდა ხელმისაწვდომი ფსიქოლოგიური ან ემოციური მხარდაჭერა, თუმცა 74.0% (n = 57) მსგავსი მხარდაჭერის მიღების სურვილს გამოხატავდა, ხოლო კოლეგებისგან პროფესიული მხარდაჭერის მიღების სურვილი 96.1%-ს (n = 74) გამოავლინა.




დიაგრამა 4. *კურსდამთავრებულთათვის ხელმისაწვდომი მხარდაჭერა COVID-19-ის საპასუხო ღონისძიებებში ჩართულობის პერიოდში (n = 77)*

საგანმანათლებლო საჭიროებები პანდემიებისადმი მზადყოფნისა და კრიზისული რეაგირების ეფექტიანობის ამაღლებისათვის

სტუდენტები დადებითად აფასებდნენ დიპლომამდელი განათლების როლს პანდემიებისადმი მზადყოფნისა და რეაგირების უზრუნველყოფაში (M = 4.04; SD = 1.09), ხოლო 81.1%

მხარს უჭერდა პანდემიებთან დაკავშირებული საკითხების სასწავლო პროგრამებში მკაფიო ინტეგრაციას (M = 4.32; SD = 0.95). სამომავლო საჭიროებებს შორის ყველაზე ხშირად დასახელდა დამატებითი ტრენინგები კლინიკური და სამედიცინო ღონისძიებებისათვის (43.6%), შემდეგ პრევენციული ღონისძიებებისათვის (25.0%).

კურსდამთავრებულებშიც მაღალი იყო პანდემიებთან დაკავშირებული საკითხების კურიკულუმში ინტეგრაციის მხარდაჭერა (M = 4.40; SD = 0.95) და კურიკულუმის გაუმჯობესების საჭიროების შეფასება სტუდენტების თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით უკეთ მოსამზადებლად (M = 4.46; SD = 0.87). სამომავლო საჭიროებებს შორის ყველაზე ხშირად დასახელდა დამატებითი სწავლება და ტრენინგები კლინიკური და სამედიცინო ღონისძიებებისათვის (38.9%).




დიაგრამა 5. *პანდემიებისადმი მზადყოფნისა და რეაგირების სამომავლო საგანმანათლებლო საჭიროებები სტუდენტების შეფასებით (n = 296)*

თვისობრივი კვლევის შედეგების ინტეგრაცია და ტრიანგულაცია რაოდენობრივ მიგნებებთან

კვლევაში მონაწილეობდა 30 ქართველი რესპონდენტი, მათ შორის 25 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგი და 5 სასწავლო პროგრამისა და კურიკულუმის ხელმძღვანელი, ხოლო 3

საერთაშორისო კურიკულუმის ხელმძღვანელისგან მიღებული შედეგები ტრიანგულაციის მიზნით იქნა გამოყენებული. თემატურმა ანალიზმა გამოავლინა სამი ძირითადი მიმართულება: ინსტიტუციური მზადყოფნისა და რეაგირების გაძლიერება, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში კომუნიკაციის გაძლიერება და კვლევითი და თანამშრომლობითი შესაძლებლობების განვითარება.



დიაგრამა 6. *უსდ პედაგოგებისა და კურიკულუმის ხელმძღვანელების დემოგრაფიული მახასიათებლები, პროფესიული და აკადემიური სფეროს მიხედვით (n = 30)*


ცხრილი 6. *საერთაშორისო კურიკულუმის ხელმძღვანელები (n = 3)*

სქესი	პროგრამა	აკადემიური თანამდებობა	ქვეყანა
ქალი	მედიცინა	მედიცინის სკოლის ვიცე რექტორი	ბელგია
კაცი	მედიცინა	მედიცინის სკოლის პროფესორი	გერმანია
კაცი	მედიცინა	მედიცინის სკოლის ზოგადი ქირურგიის ვიცე დეკანი	სომხეთი

პედაგოგებისა და კურიკულუმის ხელმძღვანელების 53% (n = 16) ხაზს უსვამდა პანდემიებისადმი მზადყოფნისა და რეაგირების საკითხების სასწავლო პროგრამაში ინტეგრირების მნიშვნელობას, 47% (n = 14) კი ინფექციის კონტროლსა და ეპიდემიოლოგიას საგანმანათლებლო პროცესის მნიშვნელოვან კომპონენტად მიიჩნევდა. პრაქტიკული უნარებისა და პრევენციული მედიცინის

სწავლების გაძლიერებას 30% (n = 9) აღნიშნავდა, ხოლო 37% (n = 11) მხარს უჭერდა ჰიბრიდულ და სიმულაციაზე დაფუძნებულ სწავლებას. ერთ-ერთი რესპონდენტის შეფასებით: „მხოლოდ თეორიულ ცოდნას ამლევს სასწავლო პროგრამა, რაც არასაკმარისია. აუცილებელია ამ ცოდნის გაღრმავება, პრაქტიკული უნარ-ჩვევების დამატება, პრევენციული ღონისძიებების და საზოგადოებაზე ზრუნვის უნარების უფრო მეტად შესწავლა.“ [პედაგოგი N3, ბიოსამედიცინო მეცნიერებები]. ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება მნიშვნელოვან კომპონენტად 63%-მა (n = 19) დაასახელა, მათგან 47%-მა (n = 9) განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა სექტორთაშორის თანამშრომლობაზე.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ექსპერტთა კვლევაში მონაწილეობდა 21 რესპონდენტი. თემატურმა ანალიზმა გამოავლინა ოთხი ძირითადი მიმართულება: პანდემიებისადმი მზადყოფნისა და რეაგირების ძირითადი კომპეტენციების განვითარება, მათი ინტეგრირება დიპლომამდელ განათლებაში, ინსტიტუციური და ექსპერტული შესაძლებლობების განვითარება და საერთო საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის გაძლიერება.



დიაგრამა 7. *საზოგადოებრივი ჯანდაცვის ექსპერტების დემოგრაფიული მახასიათებელი, ქვეყნის მიხედვით (n = 21)*

ექსპერტების დაახლოებით 90% ფუნდამენტურ კომპეტენციებად ეპიდემიოლოგიურ ცოდნას, ეპიდზედამხედველობასა და ეპიდაფეთქებების მართვას ასახელებდა. გამოცდილებაზე და პრაქტიკაზე დაფუძნებულ სწავლებას მნიშვნელოვნად მიიჩნევდა დაახლოებით 75%, ხოლო სიმულაციურ, გადაუდებელ და

კრიზისებზე ორიენტირებულ ტრენინგს დაახლოებით 80%. მონაწილეთა დაახლოებით 80% მხარს უჭერდა პანდემიებისადმი მზადყოფნისა და რეაგირების საკითხების სასწავლო პროგრამებში უფრო ფართო ინტეგრირებას, 85–90% კი საზოგადოებრივი ჯანდაცვის კომუნიკაციასა და დეზინფორმაციის მართვას მნიშვნელოვან კომპონენტად მიიჩნევდა.

სტუდენტების აქტიურ ჩართულობას დაახლოებით 80%, ხოლო საზოგადოების ჩართულობასა და სოციალურ პასუხისმგებლობას დაახლოებით 70% უჭერდა მხარს. ერთ-ერთი ექსპერტის შეფასებით: „ბიოსამედიცინო და ჯანდაცვითი მეცნიერებების სკოლებსა და ფაკულტეტებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ მომავალი პანდემიებისადმი მზადყოფნის გაძლიერებაში, სასწავლო პროგრამებში პრაქტიკული და მონაცემებზე დაფუძნებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის კომპეტენციების ინტეგრირებისა და სტუდენტებისთვის შესაბამისი სტრუქტურირებული შესაძლებლობების შექმნის გზით.“ [დანია]

თვისობრივი შედეგები თანხვედრაში იყო რაოდენობრივ მიგნებებთან და დამატებით ადასტურებდა, რომ თეორიულ ცოდნასთან შედარებით პრაქტიკული მომზადების გაძლიერება, სიმულაციაზე და გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლება, კურიკულარული ინტეგრაცია, საზოგადოებრივი ჯანდაცვის კომუნიკაცია და სექტორთაშორის თანამშრომლობა პანდემიებისადმი მზადყოფნისა და რეაგირების ძირითად საგანმანათლებლო პრიორიტეტებს წარმოადგენს.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით მიღებული დასკვნები

წინამდებარე კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში ბიოსამედიცინო და ჯანდაცვითი მეცნიერებების დიპლომამდელი განათლება სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების პანდემიებისადმი მზადყოფნასა და რეაგირებას მხოლოდ ნაწილობრივ უზრუნველყოფს. კვლევის რაოდენობრივი და თვისობრივი კომპონენტების ინტეგრირებულმა ანალიზმა გამოავლინა შემდეგი ძირითადი ტენდენციები:

1. თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების დისბალანსი: რესპონდენტთა თვითშეფასებაში თეორიული ცოდნის დონე მნიშვნელოვნად აღემატება კლინიკურ და პრაქტიკულ მზადყოფნას.
2. პრაქტიკული მომზადების დეტერმინანტული როლი: პრაქტიკული უნარების ათვისების ხარისხი პირდაპირ და ძლიერ კორელაციაში აღმოჩნდა პანდემიებისადმი საპასუხო მზადყოფნის აღქმულ დონესთან.
3. რეალური გარემოს ეფექტი: COVID-19-ის მართვის ღონისძიებებში მონაწილე სტუდენტები და კურსდამთავრებულები უფრო მაღალ მზადყოფნას აფიქსირებდნენ, ვიდრე არამონაწილეები.
4. არაფორმალური განათლების მნიშვნელობა: კურიკულუმგარე, დამატებითი მოსამზადებელი ტრენინგების გავლება დადებითად აისახება პროფესიულ მზადყოფნაზე.
5. სასწავლო პროგრამების რეფორმირების საჭიროება: სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების უმრავლესობა მხარს უჭერდა პანდემიებისადმი მზადყოფნისა და რეაგირების საკითხების სასწავლო პროგრამებში უფრო მკაფიო და სისტემურ ინტეგრირებას.
6. ექსპერტული პრიორიტეტები: პედაგოგები, კურიკულუმის ხელმძღვანელები და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ექსპერტები პრიორიტეტულად მიიჩნევდნენ შემდეგ

მიმართულებებს: პრაქტიკულ და სიმულაციაზე დაფუძნებული სწავლება, ეპიდემიოლოგიისა და ინფექციის კონტროლის კომპეტენციები, საზოგადოებრივი ჯანდაცვის კომუნიკაცია, დეზინფორმაციის მართვა, სტუდენტთა ჩართულობა და სექტორთაშორის თანამშრომლობა.

კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ პანდემიებისადმი მზადყოფნა და რეაგირება მრავალგანზომილებიანი პროცესია და მხოლოდ თეორიული ცოდნით არ შემოიფარგლება. ეფექტიანი მომზადება მოითხოვს თეორიული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას, რეალურ ან სიმულირებულ გარემოში გამოცდილების მიღებას, საზოგადოებრივი ჯანდაცვის კომუნიკაციის განვითარებასა და ინსტიტუციურ მხარდაჭერას.

შესაბამისად, ბიოსამედიცინო და ჯანდაცვითი მეცნიერებების დიპლომამდელი პროგრამების შემდგომი განვითარება მიზანშეწონილია მიმართული იყოს პანდემიებისადმი მზადყოფნისა და რეაგირების კომპეტენციების სისტემურ კურიკულარულ ინტეგრაციაზე, პრაქტიკული და სიმულაციური სწავლების გაძლიერებაზე და სტუდენტებისთვის სტრუქტურირებული გამოცდილებითი სწავლების შესაძლებლობების შექმნაზე.

აღნიშნული მიმართულებების გაძლიერება ხელს შეუწყობს დიპლომამდელ განათლებასა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამუშაო ძალის რეალურ საჭიროებებს შორის მჭიდრო კავშირის დამყარებას. ეს უზრუნველყოფს მომავალი ჯანდაცვის სპეციალისტების აღჭურვას ისეთი საკვანძო კომპეტენციებით, რომლებიც აუცილებელია პანდემიებისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სხვა საგანგებო სიტუაციების დროს ეფექტიანი მართვისა და რეაგირებისთვის. აღნიშნული მიდგომა, თავის მხრივ, განამტკიცებს ჯანდაცვის პერსონალის მდგრადობასა და პროფესიულ მზადყოფნას, რაც არსებითად გააუმჯობესებს მთლიანად საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის ოპერატიულობასა და მდგრადობას.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე პრაქტიკული და პოლიტიკის რეკომენდაციები

1. სისტემური აკადემიური ინტეგრაცია: უზრუნველყოფილი იქნეს პანდემიებისადმი მზადყოფნისა და რეაგირების კომპეტენციების მკაფიო და სისტემური ინტეგრაცია ბიოსამედიცინო და ჯანდაცვითი მეცნიერებების არსებულ დიპლომამდელ სასწავლო პროგრამებში.
2. პრაქტიკული და სიმულაციური სწავლება: პრაქტიკული და გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლების გაძლიერება, მათ შორის სიმულაციაზე დაფუძნებული სწავლებისა და საგანგებო სიტუაციების სავარჯიშოების რეგულარული გამოყენება.
3. ინტერდისციპლინური და სექტორთაშორისი თანამშრომლობა: სტიმული მიეცეს ჯანდაცვის სხვადასხვა მიმართულებას შორის ინტერდისციპლინური სწავლებისა და კომუნიკაციის გაძლიერებას, ასევე უნივერსიტეტებს, ჯანდაცვის დაწესებულებებსა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის უწყებებს შორის თანამშრომლობის გაფართოებას.
4. კვლევითი საქმიანობა და აკადემიური გაცვლა: უზრუნველყოფილ იქნეს პანდემიებისადმი მზადყოფნისა და რეაგირების მიმართულებით კვლევითი საქმიანობის, ცოდნის გაცვლისა და აკადემიური თანამშრომლობის ხელშეწყობა.

აღნიშნული რეკომენდაციები მიმართულია დიპლომამდელი განათლების, ჯანდაცვის სამუშაო ძალისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემების პანდემიებისადმი მზადყოფნისა და რეაგირების შესაძლებლობების გაძლიერებისკენ.

The University of Georgia
School of Health Sciences
Doctoral Program: Public Health

Manuscript Rights

Dea Goderdzishvili

Strengthening Pandemic Preparedness and Response through Undergraduate Education in Biomedical and Health Sciences

A Thesis Presented to Obtain the Academic Degree of Doctor of Public Health

Dissertation Herald

Speciality – 0904 – Public Health

Tbilisi

2026

The dissertation was completed at the School of Health Sciences at the University of Georgia.

Composition of the Dissertation Council:

Scientific Supervisor: Prof. Elza Nikoleishvili, MD, PhD
Chairman of the Council: Prof. Lela Shengelia, MD, MPH, PhD
Internal Expert: Prof. Amiran Gamkrelidze, MD, PhD

External Expert: Ilia Nadareishvili, MD, PhD
External Expert: Levan Baramidze, MD, MPH, PhD
External Expert: Natia Kvaratskhelia, MD, MPH, PhD

The dissertation defence is scheduled to take place on November 4, 2026 at 16:00.
Address: Tbilisi, Kostava 77a, #519 auditorium.
The dissertation is available at the University of Georgia library and on the university's website: www.ug.edu.ge

The dissertation herald was sent on October 14, 2026

Secretary of the Dissertation Council: Natia Manjikashvili

Introduction

